რეგულაციები და სერვისები პირველ კლასში რეგისტრაციის პროცესში სსსმ მოსწავლეებისთვის

პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება 4 ეტაპად:

I ეტაპი:

რეგისტრირდებიან მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები.

პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესში უპირატესობა ენიჭებათ სპეციალურისაგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებს ანუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად რეგისტრაციას პირველ რიგში სწორედ სსსმ მოსწავლეები გადიან. ამ მიზნით მშობელმა უნდა მიმართოს სკოლას და სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს. ბავშვის რეგისტრაციის მიზნით, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს მისთვის სასურველ საჯარო სკოლას. აღნიშნულ ეტაპზე ბავშვის რეგისტრაციას ახორციელებს ის საჯარო სკოლა, რომელსაც მიმართავს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

II ეტაპი:

რეგისტრირდებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლის დაძმაც სწავლობს ამ სკოლაში; ან რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

III ეტაპი:

საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია

რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება ელექტრონულად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე.

პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება 4 ეტაპად:

IV ეტაპი:

რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში, წინა ეტაპებზე დარჩენილ თავისუფალ ან გამოთავისუფლებულ ადგილებზე, იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე.

მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტებია

- მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

- მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

- პირველ ეტაპზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სავალდებულია განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომელშიც დასტურდება სპეციალური საგნმანათლებლო საჭიორება.

- თუ, მშობელმა ბავშვის რეგისტრაცია პირველ ეტაპზე განახორციელა სკოლაში, დასკვნას სამინისტრო აგზავნის სკოლაში, ხოლო პირადი მომართვის შემთხვევაში, დასკვნა მითითებულ მისამართზე ეგზავნება მშობელს და მშობელი ვალდებულია სხვა საბუთებთან ერთად დასკვნა წარადგინოს იმ სკოლაში, სადაც სურს დარეგისტრირება, რეგისტრაციის პირველივე ეტაპზე. რეგისტრაციისა და საბუთების წარდგენის ვადები ყოველ წელს მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება, ინფორმაცია მისაწვდომია ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge , (995 32) 2 200 220.

MAC GEORGIA